სიმბოლური ძალაუფლება და ნიშანთა პოლიტიკა: სოციალური რეალობის კონსტრუქცია და იდეოლოგიური რეპრეზენტაციის ფორმები

ლუკა კვარაცხელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პროგრამა ფილოსოფია

ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილი 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა კვარაცხელია

20/06/2026

მადლობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული მრავალმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი მაისურაძეს.

მისი ღირებული რჩევები, პროფესიული მითითებები, კრიტიკული შენიშვნები და მუდმივი გზამკვლევობა გადამწყვეტი აღმოჩნდა კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვისა და ნაშრომის წარმატებით დასრულებისთვის. განსაკუთრებით მადლობელი ვარ იმ მოთმინებისა და ნდობისთვის, რომელსაც იგი მუშაობის მთელ პერიოდში ჩემ მიმართ იჩენდა.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ძალაუფლების ტრადიციული, რეპრესიული გაგების გადალახვას და ფოკუსირდება მის პროდუქტიულ, სიმბოლურ ბუნებაზე, სადაც ძალაუფლება მოქმედებს არა სხეულზე, არამედ შემეცნებისა და სამყაროს აღქმის კატეგორიებზე. კვლევის ცენტრალური კითხვა მიემართება პროცესის ანალიზს, თუ როგორ გარდაიქმნება ენობრივი ნიშნები და სოციალური რიტუალები ,,ბუნებრივ ჭეშმარიტებად, რომლებიც სუბიექტის მიერ უპირობოდ არის აღიარებული. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მრავალშრიანი ანალიზი, რომელიც ეყრდნობა პიერ ბურიდეს სიმბოლურ ძალაუფლების, ლუი ალთუსერის ინტერპელაციის, ბერგერის და ლუკმანის სოციო-კონსტრუქტივიზმის და როლან ბარტის სემიოტიკურ კონცეფციებს.

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური რეალობა არ არის ნეიტრალური მოცემულობა, არამედ სიმბოლური ბრძოლის დინამიკური პროდუქტი. კვლევის ცენტრალური მიგნებით, სიმბოლური ძალაუფლება ყველაზე ეფექტურად მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც მისი იძულების ასპექტი შენიღბულია და გაბატონებული ინტერესები ადამიანის ჰაბიტუსში ნატურალიზდება, ეჭვგარეშე ჭეშმარიტებად (დოქსად) მკვიდრდება.

ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება მდგომარეობს სიმბოლური ძალაუფლების კლასიკური თეორიების სინთეზირებაში რეალობის კონსტრუირების პრაქტიკულ მექანიზმებთან. განვითარებული თეორიული ჩარჩო მყარ საფუძველს ქმნის ნიშანთა პოლიტიკის შესასწავლად თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, სადაც რეალობის კონსტრუირებამ და სიმბოლურმა დომინაციამ ფიზიკური სივრციდან თითქმის სრულად გადაინაცვლა ვირტუალურ, ნიშნობრივ რეპრეზენტაციებში.

Abstract

The present master's thesis aims to overcome the traditional, repressive understanding of power and focus on its productive, symbolic nature, where power operates not on the physical body, but on cognition and the categories of world perception. The central research question examines how linguistic signs and social rituals transform into "natural" truths that are unconditionally recognized by the subject. The theoretical framework of the thesis is established through a multi-layered analysis that synthesizes Pierre Bourdieu's symbolic power, Louis Althusser's interpellation, Berger and Luckmann's social constructivism, and Roland Barthes' semiotic concepts.

The study demonstrates that social reality is not a neutral given, but rather a dynamic product of symbolic struggles. The central finding of the research indicates that symbolic power is most effective when its coercive aspect is misrecognized, allowing dominant interests to become naturalized within the agent's habitus as an unquestioned truth (doxa).

The scholarly value of the thesis lies in its synthesis of classical theories of symbolic power and ideology with practical mechanisms of reality construction. The developed theoretical framework provides a solid foundation for studying the politics of signs in the contemporary digital era, where the construction of reality and symbolic domination have shifted from physical spaces almost entirely into virtual, semiotic representations.